სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/01

ქ. თბილისი 1 თებერვალი 2019

სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 2019 წლის ბიუჯეტების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, პროფ. ქ. ქოქრაშვილის 2019 წლის 1-ელი თებერვლის №05-01/02 წერილის და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 1-ელი თებერვლის №01-06-02/01 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) გამოკითხვის წესით დაადგინა:

1. დამტკიცდეს სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების 2019 წლის ბიუჯეტები, საშტატო ერთეულის რაოდენობა და შრომის ანაზღაურების ფონდები წარმოდგენილი სახით;

2. ბიუჯეტების პროექტების ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2019 წლის 1-ელი იანვარი და საშტატო განრიგების პროექტების ამოქმედების ვადად – 2019 წლის 1-ელი თებერვალი; ამასთან, საშტატო განრიგებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად წარმოშობილი საშტატო ერთეულები შესაბამისი ანაზღაურებით, იმ თანამდებობებისთვის, რომელთა დაკავება კანონით განსაზღვრული წესით შესაძლებელია კონკურსის გზით, ამოქმედდეს შესაბამის თანამდებობაზე კონკურსის შედეგების დამტკიცებისთანავე;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**